დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2016 წლის 15 აგვისტო

ქ. დუშეთი

წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი-მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე (სასაფლაოს ტერიტორია, ეკლესია და სხვა), კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე (დანართი №1), სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში.
2. მუნიციპალიტეტის კულტურულ-ეკონომიკური ინტერესების, ცალკეული არქიტექტურული ობიექტების იერსახისა და მათი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების დაცვის მიზნით საარჩევნო პლაკატების გაკვრა აიკრძალოს ასევე დანართ №2-ში განსაზღვრულ ტერიტორიებსა და ნაგებობებზე.

3. დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში აკრძალულია საარჩევნო პლაკატების საგზაო ნიშნებზე განთავსება, გაკვრა.

4. საარჩევნო პლაკატები განთავსდეს სპეციალურ სტენდებზე დანართი №3-ით განსაზღვრულ ადგილებზე. სპეციალური სტენდების გარდა პლაკატების გაკვრა დასაშვებია სამშენებლო ტერიტორიების შემომსაზღვრელ დროებით ღობეებზე.

5. ამ დადგენილების მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას 1 ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით არაუმეტეს სიგრძე 60 სმ სიგრძისა, სიგანე 42სმ, (A2 ფორმატი), იმის გათვალისწინებით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილებით.

6. ამ დადგენილების პირველი – მე-3 პუნქტების გათვალისწინებით საარჩევნო პლაკატის გაკვრა დასაშვებია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ყველა ობიექტზე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის პირველი პუნქტის დაცვით.

7. ამ დადგენილების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გივი ზურაბაშვილი**

დანართი №1

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობები, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა

№	სახელწოდება	ადგილმდებარეობა/ მისამართი
1.	კულტურის სახლი	დუშეთი, დავით აღმაშენებლის (ყოფ. სტალინის) ქუჩა №31
2.	დუშეთის ბულვარი	დუშეთი, ილია ჭავჭავაძის, შოთა რუსთაველის, მერაბ კოსტავასა და ერეკლე II-ის ქუჩებს შორის
3.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №8
4.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №9
5.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №10
6.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №11
7.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №13
8.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №15
9.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №16
10.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №17
11.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №21/ ერეკლე II-ის ქუჩა №7
12.	ყოფილი სასამართლოს შენობა	დუშეთი, ჭავჭავაძის ქუჩა №27
13.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №33
14.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №35
15.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, დანიელ ჭონქაძის ქუჩა №7
16.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, დანიელ ჭონქაძის ქუჩა №10
17.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, დანიელ ჭონქაძის ქუჩა №15
18.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, დანიელ ჭონქაძის ქუჩა №28
19.	წყარო	დუშეთი, დანიელ ჭონქაძის ქუჩა
20.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ცოტნე დადიანის ქ. №3/ შოთა რუსთაველის ქუჩა
21.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ცოტნე დადიანის ქუჩა №6/ ნაზი შამანაურის №16
22.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ცოტნე დადიანის №1 / ერეკლე II-ის №25
23.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ერეკლე II-ის ქუჩა №1 და №3
24.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ერეკლე II-ის ქუჩა №5
25.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ერეკლე II-ის ქუჩა №9 და №11
26.	ყოფილი დუქანი	დუშეთი, ერეკლე II-ის ქუჩა №13
27.	ბიბლიოთეკა, საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ერეკლე II-ის ქუჩა №17
28.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ერეკლე II-ის ქუჩა №35
29.	წმინდა გრიგოლ ნაზიანზელის ეკლესია	დუშეთი, გიორგი საკაძისა და პლატონ იოსელიანის ქუჩების გასაყარზე

30.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, პლატონ იოსელიანის ქუჩა №3
31.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, პლატონ იოსელიანის ქუჩა №68
32.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, პლატონ იოსელიანის ქუჩა №72
33.	ყარანგოზიშვილების კოშკი	დუშეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა
34.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, მერაბ კოსტავას ქუჩა №30
35.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, მერაბ კოსტავას ქუჩა №34
36.	ჭილაშვილების ციხე- დარბაზი (მილახვრიანთკარი), კომპლექსი	დუშეთი, მილახვრიანთკარი
37.	სამეურნეო ნაგებობები	დუშეთი, მილახვრიანთკარი
38.	კოშკი	დუშეთი, მილახვრიანთკარი
39.	კოშკი შესასვლელის თავზე	დუშეთი, მილახვრიანთკარი
40.	ჭილაშვილების ციხე- დარბაზი (მილახვრიანთკარი), კარის ეკლესია	დუშეთი, მილახვრიანთკარი
41.	გალავანი	დუშეთი, მილახვრიანთკარი
42.	საცხოვრებელი სახლი, დარბაზი	დუშეთი, მილახვრიანთ დასახლება №91
43.	მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	დუშეთი, მილახვრიანთ დასახლება
44.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, მთვარელიანთ დასახლება №3
45.	დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია	დუშეთი, ობსერვატორიის ქუჩა №1
46.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი,თეატრის ქუჩა №2
47.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი,თეატრის ქუჩა №6
48.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი,თეატრის ქუჩა №12
49.	სახლი	დუშეთი,თეატრის ქუჩა №18
50.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №23
51.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №25
52.	დუშეთის გამგეობისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობა	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №27
53.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №32
54.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №43
55.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №45
56.	საცხოვრებელი სახლი, ყოფილი დუქანი	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №47
57.	ყოფილი კინოთერტის შენობა	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №47
58.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა
59.	ნიკო კეზელის ყოფილი საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №54
60.	ლიბერთი ბანკის შენობა	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №56

61.	სამხედრო კომისარიატის შენობა	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №64
62.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №67
63.	ყოფილი დუქანი	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №76
64.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №90
65.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №92-94
66.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №98
67.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №100 (I)
68.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №100(II)
69.	საცხოვრებელი სახლი, ე.წ. "ლიმონათი“	დუშეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა №81
70.	ყაზარმა	დუშეთი, სამხედრო დასახლება 3
71.	ყაზარმა	დუშეთი, სამხედრო დასახლება 3, კორპუსი 14
72.	ყაზარმა	დუშეთი, სამხედრო დასახლება 3, კორპუსი 7
73.	სამხედრო უწყების შენობა (ყოფილი სამხედრო მაღაზია და საწყობი)	დუშეთი, სამხედრო დასახლება 3
74.	საცხედრე	დუშეთი, სამხედრო დასახლება 3
75.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, სამხედრო დასახლება I
76.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, შამანაურის ქუჩა №6
77.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ნაზი შამანაურის ქუჩა №12 / შოთა რუსთაველის ქუჩა №55
78.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ნაზი შამანაურის ქუჩა №14 / რუსთაველის ქუჩა
79.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ნაზი შამანაურის ქუჩა №20
80.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ნაზი შამანაურის ქუჩა №41
81.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ნაზი შამანაურის ქუჩა 43/ ცოტნე დადიანის ქუჩა №7
82.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ნაზი შამანაურის ქუჩა №47
83.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ნაზი შამანაურის ქუჩა №55
84.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ნაზი შამანაურის ქუჩა №57/ რუსთაველის ქუჩა №57
85.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, შიო არაგვისპირელის ქუჩა №33
86.	ყოფილი დუქანი	დუშეთი, წმინდა ნინოს ქუჩა №4
87.	ყოფილი დუქანი	დუშეთი, წმინდა ნინოს ქუჩა №6
88.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, წმ. ნინოს ქუჩა №14

89.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, წმ. ნინოს ქუჩა №16 / ნაზი შამანაურის ქუჩა №16
90.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, წმ. ნინოს ქუჩა №20
91.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, წმ. ნინოს ქუჩა №30
92.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, წმინდა ნინოს ქუჩა №31
93.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, წმინდა ნინოს ქუჩა №33
94.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, წმინდა ნინოს ქუჩა №35
95.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, ვაჟა- ფშაველას ქუჩა №38
96.	საცხოვრებელი სახლი	დუშეთი, მერაბ კოსტავას ქ. №28 / ილია ჭავჭავაძის ქ. №3

დანართი №2

დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული ტერიტორია და ნაგებობები, სადაც დამატებით აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა

1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი და მისი მიმდებარე ტერტირორია.
2. ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები.

დანართი №3

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სტენდები, სადაც დასაშვებია სააგიტაციო მასალის გაკვრა

№	მდებარეობა
1	ქალაქის ცენტრალურ მოედანზე (ყოფილი აღმასკომის შენობის გვერდით)
2	ქალაქის შემოსასვლელში წყაროსთან
3	აღმაშენებლის ქუჩის დასაწყისში მდებარე კორპუსებთან
4	ფარნავაზის ქუჩის დასაწყისში
5	საქართველოს სამხედრო გზიდან ქ. დუშეთამდე არსებული 3 (სამი) სტენდი